



ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
შპს - ორიენტირის 2016 წლის 9 სექტემბერი
№ 01/92 ბრძანებით

დირექტორი:

რამაზ მაჭარაშვილი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება შ.პ.ს „ორიენტირი“



პრაქტიკოსი ექთანი

090552 (V საფეხური)

თბილისი 2016

I. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: პრაქტიკოსი ექთანი

II. პროფესიული განათლების საფეხური: V საფეხური

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: პრაქტიკოსი ექთნის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

IV. პროგრამის მოცულობა: პრაქტიკოსი ექთნის V საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 150 კრედიტს (3750 საათი), რომლის 40% (60 კრედიტი - 1500 საათი) ეთმობა პრაქტიკას, ხოლო 60% (90 კრედიტი - 2250 საათი) - თეორიულ კომპონენტს.

- პრაქტიკისა და თეორიული კომპონენტის თანაფარდობა შესაბამისობაშია პროფესიულ სტანდარტთან.
- ერთი კრედიტი არის 25 ასტრონომიული საათი;
- თეორიული სწავლება მიმდინარეობს 58 კვირის მანძილზე, რომლის დასრულების შემდეგ პროფესიული სტუდენტები გაივლიან პრაქტიკას 38 კვირის მანძილზე.
- პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მეხუთე საფეხურის დასრულების შემდეგ გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.

V. პროგრამის ხანგრძლივობა: 96 კვირა

VI. სწავლების ენა: ქართული

VII. პროგრამაზე მიღების წინაპირობა:

- პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება
- კონკურსის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებათ აპლიკანტებს, რომელთაც აქვთ მაღალი შეფასება ბიოლოგიაში.

VIII. სფეროს აღწერა - პრაქტიკოსი ექთანი არის ჯანდაცვის მიმართულების საექთნო საქმის დარგის კვალიფიკაცია, მას ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში ერთ-ერთი საკვანძო და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მისი დანიშნულებაა ნებისმიერი ასაკის ინდივიდების, ოჯახების, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების ან/და თემის ჯანმრთელობის დაცვა და დაავადებათა პრევენცია, ჯანმრთელობის აღდგენა-შენარჩუნებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის მეშვეობით. პრაქტიკოსი ექთანი გადამწყვეტ როლს ასრულებს ავადობა-სიკვდილობის მინიმინაზაციაზე ორიენტირებული ჯანდაცვის სისტემის ჩამოყალიბებასა და ეფექტურობის უზრუნველყოფაში. პრაქტიკოსი ექთნის საქმიანობა ასევე მოიცავს ავადმყოფთა, უნარშეზღუდულთა ანდა ტერმინალურ პაციენტთა მოვლას/მართვას. საექთნო საქმის თეორიის, საბაზისო სამედიცინო და ქცევითი მეცნიერებების ცოდნისა და ძირითადი კლინიკური უნარების პრაქტიკაში გამოყენების მეშვეობით პრაქტიკოსი ექთანი ადექვატურად პასუხობს მოსახლეობის ჯანდაცვის მუდმივად ცვლად საჭიროებებს და ავლენს ახალ გამოწვევებზე რეაგირების უნარს. სიცოცხლის მანძილზე სწავლა და უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის მზადყოფნა – პრაქტიკოსი ექთნის ერთ-ერთი ძირითადი კომპეტენციაა.

IX. პროფესიული პროგრამის მიზანი – პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი პრაქტიკოსი ექთნის მომზადება შრომის ბაზრისათვის, რომელიც ფლობს საექთნო საქმისთვის საჭირო ბაზისურ თეორიულ ცოდნას და კლინიკურ უნარ-ჩვევებს, რის საფუძველზეც იგი წარმატებით შეასრულებს პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ როლს, მისიას და ფუნქციებს; სტუდენტმა უნდა გააცნობიეროს საექთნო საქმის ძირითადი ღირებულებები, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები; აგრეთვე საექთნო საქმის სოციალური, კულტურული, სულიერი, ეკონომიკურ-პოლიტიკური ასპექტები; სწავლის პროცესში სტუდენტი გაეცნობა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემას და გააცნობიერებს პრაქტიკოსი ექთნის დანიშნულებას; გაეცნობა უსაფრთხოების წესებს, ინფექციის კონტროლის პრინციპებს და ამ პრინციპების დაცვის აუცილებლობას უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით; აგრეთვე გაეცნობა ინფორმაციის რეგისტრაციის, შენახვისა და გავრცელების პრინციპებს; გააცნობიერებს პრაქტიკოსი ექთნის როლს ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და უზრუნველყოფაში.

X. სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება	პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და /ან სპეციალიზირებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობების (საზღვრების)	აქვს საექთნო საქმისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და კლინიკური უნარ-ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით და ა გააცნობიერებულად ასრულებს პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ როლს, მისიას და ფუნქციებს; უზრუნველყოფს პაციენტთა ტრიაჟს, პირველად საექთნო შეფასებას და მონიტორინგს;
-----------------------	---	--

გაცნობიერება; აქვს საექთნო საქმისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და კლინიკური უნარ-ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით და გაცნობიერებულად ასრულებს პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ როლს, მისიას და ფუნქციებს;

იცის ნორმალური, ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმის აგებულება და ფიზიოლოგია. ორგანოთა სისტემების მიხედვით ფუნქციასთან, განვითარებასთან და გარემოს ზეგავლენასთან კავშირში, ასაკობრივი, სქესობრივი და ინდივიდუალური თავისებების გათვალისწინებით, აგრეთვე მათში მიმდინარე პათოლოგიური ცვლილებები; ინტენსიური თერაპიისა და რენიმატოლოგიის ძირითად საკითხები; იცის ინფექციური დაავადებები მიკრობიოლოგიითა და ეპიდემიოლოგიით;

იცის ნერვული სისტემის დაავადებათა ეტიოპათოგენეზი, კლინიკა, დიაგნოსტიკის და მკურნალობის მეთოდები, იცის ზოგადი ონკოლოგიის საფუძვლები.

გაცნობიერებული აქვს: პრაქტიკოსი ექთნის როლი ონკოლოგიური ავადმყოფის სპეციალური მოვლის საქმეში, პალიატიური მოვლის უმთავრესი ასპექტები.

იცნობს შინაგანი ორგანოების დაავადებების განვითარებისა და გამოვლენის მიზეზებსა და მექანიზმებს, მათი მკურნალობისა და პროფილაქტიკის მეთოდებს.

იცის ბავშვის ზრდა-განვითარების ძირითადი პრინციპები; ახალშობილთა დაავადებები, ადრეული ასაკის ბავშვთა დაავადებები. ბავშვთა ასაკის გულსისხლძარღვთა, სასუნთქი, საჭმლის მომნელებელი და სხვა სისტემების დაავადებები, დროული და დღენაკლული ახალშობილის შეფასების პრინციპები, ავადმყოფი ბავშვის მოვლის თავისებურებანი სახლის თუ სტაციონარის პირობებში და პრაქტიკოსი ექთნის როლი სხვადასხვა ასაკის ბავშვთა მოვლის საქმეში.

გაცნობიერებული აქვს პრაქტიკოსი ექთნის როლი გერიატრიული ავადმყოფის სპეციალური მოვლის საქმეში პაციენტის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

		<p>იცის: ქირურგიული დაავადებების დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და მოვლის თანამედროვე მეთოდები; დაავადებების სიმპტომატიკა, რომლებიც მოითხოვენ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას. ქირურგიული პაციენტის მკურნალობის პრინციპები.</p> <p>ფლობს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების წესებს და პრინციპებს, გადაუდებელი მედიცინის საფუძვლებს(BLS, ACLS, PHTLS, ATLS);</p> <p>იცნობს უსაფრთხოების წესებს, ინფექციის კონტროლის პრინციპებს და გაცნობიერებული აქვს ამ პრინციპების დაცვის აუცილებლობა უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით;</p> <p>იცის ორსულის, მშობიარეს მოვლის თავისებურებები. იცის გადაუდებელი დახმარების ღონისძიებათა და მანიპულაციათა თავისებურებები და მეთოდები მშობიარისა და ახალშობილისათვის; იცის მშობიარის ოპერაციის შემდგომი მოვლის მეთოდები.</p> <p>იცნობს ქვეყნის ჯანდაცვის სისტემას და გაცნობიერებული აქვს პრაქტიკოსი ექთნის დანიშნულება;</p> <p>იცის საზოგადოებრივი ჯანდაცვის არსი, მიზნები, ფუნქციები, ამოცანები, ჯანდაცვის მენეჯმენტის ფუნდამენტური პრინციპები. იცის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ძირითადი პრინციპების ცოდნის მნიშვნელობა მოსახლეობის ჯანდაცვის საქმეში.</p> <p>იცნობს თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებს; იცნობს ინფორმაციის რეგისტრაციის, შენახვისა და გავრცელების პრინციპებს;</p> <p>იცის და გაცნობიერებული აქვს საექთნო საქმის ძირითადი ღირებულებები, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები; იცის საექთნო საქმის სოციალური, კულტურული, სულიერი,</p>
--	--	--

		<p>ეკონომიკურ-პოლიტიკური ასპექტები; გაცნობიერებული აქვს პრაქტიკოსი ექთნის როლი ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და უზრუნველყოფაში, როგორც ინდივიდუალურად, ასევე მულტიდისციპლინურ პროფესიულ გუნდში საქმიანობის კონტექსტში. იცის მართვისა და ლიდერობის ძირითადი პრინციპები; იცის წამლების ორგანიზმზე ზემოქმედების გვერდითი ეფექტები; სამკურნალო საშუალებათა ძირითადი ჯგუფები, მოქმედების მექანიზმები და წესები. იცის სან-ჰიგიენური მოთხოვნები და პრევენციული ღონისძიებები.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>	<p>შეუძლია თავისი კომპეტენციის ფარგლებში დასმული პრობლემის იდენტიფიცირება. ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება, უსაფრთხო, კომფორტული მოვლის უზრუნველყოფა, ბავშვის მდგომარეობის ტრიაჟი და პირველადი საექთნო შეფასება. პაციენტის ხელშეწყობა საკუთარი თავის მომსახურების უნარების განვითარებასა და შესწავლაში. შეუძლია შექმნილი ცოდნის საფუძველზე კლიენტის/პაციენტის ოპტიმალური, უსაფრთხო, კომფორტული და ეთიკური მოვლის/მართვის მეთოდების განსაზღვრა და მაღალი ხარისხით უზრუნველყოფა; კლიენტის/პაციენტის სიცოცხლესთან დაკავშირებული რისკების დროული შეფასება და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი ქმედების განხორციელება; გადაუდებელი დახმარების გაწევა მშობიარისა და ორსულისათვის; გარეგანი მანიპულაციების ჩატარება; პაციენტის მომზადება (კანის ჰიგიენა, ანტისეპტიკური</p>

		<p>დამუშავება).</p> <p>შეუძლია: კლიენტის/პაციენტის ფიზიკური და ფსიქოსოციალური ჯანმრთელობის ნორმისა და დევიაციის ნიშნების ამოცნობა, ტრიაჟი და პირველადი საექთნო შეფასება, ადექვატური ინტერპრეტაცია და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი ქმედების განხორციელება;</p> <p>შეუძლია სწორად განსაზღვროს სამედიცინო ტერმინთა კლასიფიკაცია წარმოშობის მიხედვით, სწორად განმარტოს ქართული სამედიცინო ტერმინები, გამოიყენოს ავადმყოფობთა და მათი კლინიკური გამოვლენის ფორმათა ქართული დასახელებები, განმარტოს პროფესიული სამედიცინო ლათინური ტერმინები და გამონათქვამები, რეცეპტის გაფორმების/წაკითხვის თავისებურებები აწარმოოს პრეფიქსისა ან/და სუფიქსის მიმატებით პათოლოგიური პროცესების და სხვადასხვა ორგანოს დაავადების დასახელებები.</p> <p>პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევა; კლიენტის/ პაციენტის მართვის გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა ინვაზიური ჩარევებისა და არაინვაზიური პროცედურების მოვლა-წარმოება; მასზე დელეგირებული სამკურნალწამლო და სამედიცინო ტექნიკურ და ტექნოლოგიურ საშუალებათა დანიშნულებისამებრ გამოყენება, შენახვა და გამოყენებული მასალის განადგურება უსაფრთხოების წესების დაცვით; შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება, შენახვა, დაცვა, გადაცემა და გავრცელება; საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სკრინინგ-ტესტების, ადექვატური პრევენციული ღონისძიებების ანდა</p>
--	--	---

		<p>იმუნიზაციის წარმოება; კლიენტის/პაციენტის, ოჯახის წევრების ან და მომვლელის ინფორმირება და განათლება, პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში; შეუძლია კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირება, საექთნო შეფასების, პრობლემის იდენტიფიცირების, გეგმის შემუშავებისა და პრაქტიკაში დანერგვის საფუძველზე; შეუძლია სამედიცინო გუნდში ეფექტური და კოორდინირებული მუშაობა; დაქვემდებარებული ადამიანური რესურსების ეფექტური სწავლება/განათლება, მართვა, ფუნქციების ადეკვატური დელეგირება; ჯანმრთელობის ხელშეწყობა ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის გზით. კლიენტის/პაციენტის ღირსების, უფლებების დაცვა, ადვოკატირება, ასოცირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა. შეუძლია შეძენილი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოყენება პროფესიულ საქმიანობაში, როგორც ექიმის მეთვალყურეობით (პაციენტთა სტაციონარული მომსახურების ადგილებში), ასევე დამოუკიდებელი მუშაობისას ბინაზე მოვლის დროს. შეუძლია ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება, ოპტიმალური, უსაფრთხო, კომფორტული მოვლის უზრუნველყოფა, ბავშვის მდგომარეობის ტრიაჟი და პირველადი საექთნო შეფასება.</p>
დასკვნის უნარი	გამოკვეთილი პრობლემის ამოც-	შეუძლია დროულად ამოიცნოს კლიენტ/პაციენტის

	<p>ნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p>მოვლის/მართვის გეგმის ხელისშემშლელი, დამაბრკოლებელი გარემოებები და დამოუკიდებლად ან სხვისი დახმარებით აღმოფხვრას ისინი; შესაბამისი კორექტივები შეიტანოს მოვლის/მართვის გეგმაში და ცვლილებები შეათანხმოს სამედიცინო გუნდის დანარჩენ წევრებთან; ამოიცნოს კლიენტის/პაციენტის ფიზიკური და ფსიქოსოციალური ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორები და სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობები, გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები და იმოქმედოს სამედიცინო გუნდთან შეთანხმებულად, გადაუდებელი საჭიროებების შემთხვევაში კი - დამოუკიდებლად.</p> <p>შეუძლია კლიენტ/პაციენტის მდგომარეობის შეფასება, კვალიფიციური სამედიცინო ჩარევის საჭიროების განსაზღვრა და ექიმის დროულად გამოძახება/გაფრთხილება.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით.</p>	<p>უნარი შესწევს მშობლიურ და უცხოურ ენებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია დაამყაროს სამედიცინო პერსონალთან, ჯანდაცვისა და სოციალურ მუშაკებთან, კლიენტებთან/პაციენტებთან და სხვა ინდივიდებთან, თუ ინდივიდთა ჯგუფებთან საექთნო საქმის ეფექტური განხორციელების მიზნით;</p> <p>ფლობს თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებს მშობლიურ და უცხოურ ენებზე წარმოებული ინფორმაციის მოპოვების, ასევე დამუშავების, შენახვისა და საჭიროების შემთხვევაში, გავრცელებისა და დემონსტრირების მიზნით;</p> <p>იგი იყენებს კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებს შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის დროული და ზუსტი წარმოებისთვის, შენახვისა და დაცვისთვის, საჭიროების შემთხვევაში, გადაცემისა და გავრცელებისთვის;</p>

		<p>აღნიშნული კომპეტენცია მას შეუძლია განახორციელოს როგორც მშობლიურ, ასევე უცხოურ ენაზე. უნარი შესწევს გადასცეს და გაუზიაროს მიღებული ცოდნა და ინფორმაცია სპეციალისტებსა და არასპეციალისტებს, აქვს პრეზენტაციის უნარი. იგი წარმატებით იყენებს ინტერპერსონალური კომუნიკაციის უნარებს სამედიცინო და სხვა ტიპის პროფესიული გუნდის დანარჩენ წევრებთან ეფექტური თანამშრომლობისა და კოორდინირებული საქმიანობის მიზნით.</p> <p>შეუძლია კომუნიკაცია პაციენტთან, ასევე მის ახლობლებთან, ეთიკის ნორმების დაცვით საუბარი მის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.</p>
სწავლის უნარი	საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში	<p>შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი ცოდნის დეფიციტი, საჭიროებები და პრიორიტეტები შემდგომი პროფესიული სრულყოფის მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე შეუძლია მოიძიოს შესაბამისი წყაროები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის უწყვეტ პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლას. შეუძლია საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება, შეუძლია მითითებული ლიტერატურის მეშვეობით სწავლა.</p>
ღირებულებები	პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან თავისი და სხვათა დამოკიდებულებების შეფასება და სხვებისთვის გაზიარება.	<p>მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ პროფესიულ საქმიანობას; კრიტიკულად უდგება საკუთარ საქმიანობას, საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს ადექვატურ პროფესიულ შენიშვნებს, მითითებებსა და რეკომენდაციებს; აფასებს სხვათა დამოკიდებულებას პროფესიული ღირებულებებისადმი და მზად არის საკუთარი დამოკიდებულება გაუზიაროს სხვას. მოქმედებს საექთნო საქმიანობის მარეგულირებელი საერთაშორისო და</p>

		<p>ადგილობრივი საკანონმდებლო და ეთიკური ნორმების შესაბამისად;</p> <p>შეუძლია პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებთან თავისი და სხვათა დამოკიდებულებების შეფასება და სხვებისთვის გაზიარება, მასზე დაკისრებული მოვალეობის მნიშვნელობის განსაზღვრა, პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების გათავისება და მათ შესაბამისად მოქმედება.</p>
--	--	--

XI.სწავლის შედეგების რუქა

#	სასწავლო კურსის კოდი	სასწავლო კურსები	სწავლის შედეგები					
			ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	NURSPR 501	ლათინური ენა, სამედიცინო ტერმინოლოგია		X				
2	NURSPR 502	საინფორმაციო ტექნოლოგიები	X			X		
3	NURSPR 503	ინგლისური ენა				X		
4	NURSPR 504	ადამიანის ნორმალური ანატომია ფიზიოლოგიითა და პათოლოგიით	X					
5	NURSPR 505	პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება	X				X	
6	NURSPR 506	ჰიგიენა	X					
7	NURSPR 507	სამედიცინო ეთიკა და ბიოეთიკა	X					
8	NURSPR 508	საექთნო საქმე(პაციენტის მოვლა/მართვა)	X					
9	NURSPR 509	ნევროლოგია	X				X	
10	NURSPR 510	ინტენსიური თერაპია და რეანიმატოლოგია	X					
11	NURSPR 511	მეან-გენოკოლოგია	X				X	
12	NURSPR 512	ინფექციური დაავადებები, მიკრობიოლოგია და ეპიდემიოლოგია	X				X	
13	NURSPR 513	შინაგანი დაავადებები	X					
14	NURSPR 514	ფარმაკოლოგია	X				X	
15	NURSPR 515	ბავშვთა დაავადებები	X				X	
16	NURSPR 516	ზოგადი ქირურგია	X				X	

17	NURSPR 517	საზოგადოებრივი ჯანდაცვა	X				X	
18	NURSPR 518	პაციენტის მოვლა სხვადასხვა დაავადებების დროს და პრევენციული ღონისძიებები	X					
19	NURSPR 519	გერიატრია	X				X	
20	NURSPR 520	ონკოლოგიური დაავადებები და პალიატიური მზრუნველობა	X				X	
21	NURSPR 521	პრაქტიკა-ბავშვის მოვლა/მართვა		X	X	X	X	X
22	NURSPR 522	პრაქტიკა-ორსულის/მშობიარეს მოვლა/მართვა		X	X	X	X	X
23	NURSPR 523	პრაქტიკა-პაციენტის მოვლა/მართვა(თერაპიული, ქირურგიული, ნევროლოგიური, ონკოლოგიური)		X	X	X	X	X

XII. სასწავლო გეგმა

#	სასწავლო კურსის კოდი	სასწავლო კურსები	კრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება								სულ საათების რაოდენობა	
				საკონტაქტო საათები					დასკვნითი გამოცდა				სულ საკონტაქტო საათების რაოდენობა
				ლექცია	სამუშაო ჯგუფში მუშაობა	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	სულ საკონტაქტო საათების რაოდენობა			
1	NURSPR 501	ლათინური ენა, სამედიცინო ტერმინოლოგია	3	18	31	-	-	1	3	53	22	75	
2	NURSPR 502	საინფორმაციო ტექნოლოგიები	4	20	39	-	-	1	3	63	37	100	
3	NURSPR 503	ინგლისური ენა	4	21	38	-	-	1	3	63	37	100	
4	NURSPR 504	ადამიანის ნორმალური ანატომია ფიზიოლოგიითა და პათოლოგიით	6	38	66	-	-	1	3	108	42	150	
5	NURSPR 505	პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება	4	19	39	-	-	2	3	63	37	100	
6	NURSPR 506	ჰიგიენა	4	22	37	-	-	1	3	63	37	100	
7	NURSPR 507	სამედიცინო ეთიკა და ბიოეთიკა	4	20	40	-	-	1	2	63	37	100	
8	NURSPR 508	საექთნო საქმე(პაციენტისმოვლა/მართვა)	6	33	74	-	-	2	3	112	38	150	
9	NURSPR 509	ნევროლოგია	4	17	41	-	-	2	3	63	37	100	
10	NURSPR 510	ინტენსიური თერაპია და რენანიმატოლოგია	3	17	31	-	-	2	3	53	22	75	
11	NURSPR 511	მეან-გენოკოლოგია	4	17	41	-	-	2	3	63	37	100	

12	NURSPR 512	ინფექციური დაავადებები, მიკრობიოლოგია და ეპიდემიოლოგია-	6	35	53	-	-	1	3	92	58	150
13	NURSPR 513	შინაგანი დაავადებები	6	34	73	-	-	2	3	112	38	150
14	NURSPR 514	ფარმაკოლოგია	4	21	38	-	-	1	3	63	37	100
15	NURSPR 515	ბავშვთა დაავადებები	3	18	26	-	-	2	3	49	26	75
16	NURSPR 516	ზოგადი ქირურგია	3	18	26	-	-	2	3	49	26	75
17	NURSPR 517	საზოგადოებრივი ჯანდაცვა	3	18	28	-	-	1	2	49	26	75
18	NURSPR 518	პაციენტის მოვლა სხვადასხვა დაავადებების დროს და პრევენციული ღონისძიებები	10	81	119	-	-	2	3	205	45	250
19	NURSPR 519	გერიატრია	4	23	35	-	-	2	3	63	37	100
20	NURSPR 520	ონკოლოგიური დაავადებები და პალიატიური მზრუნველობა	5	38	52	-	-	2	3	95	30	125
21	NURSPR 521	პრაქტიკა-ბავშვის მოვლა/მართვა	15	-	-	-	370	2	3	375	0	375
22	NURSPR 522	პრაქტიკა-ორსულის/მშობიარეს მოვლა/მართვა	15	-	-	-	370	2	3	375	0	375
23	NURSPR 523	პრაქტიკა-პაციენტის მოვლა/მართვა(თერაპიული, ქირურგიული, ნევროლოგიური, ონკოლოგიური)	30	-	-	-	745	2	3	750	0	750
		სულ	150	528	927	-	1485	37	67	3044	706	3750

XIII. პროგრამის განხორციელების სპეციფიკა

სასწავლო კურსები	კვირა/საათი																		
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19
ლათინური სამედიცინო ტერმინოლოგი	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	3
საინფორმაციო ტექნოლოგიები	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	10
ინგლისური ენა	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	10
ადამიანის ნორმალური ანატომია ფიზიოლოგიითა და პათოლოგიით	8	8	8	8	8	8	8	8	8	8	8	8	8	8	8	8	8	8	6
პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	4	4	4	4	4	4	4
სამედიცინო ეთიკა და ბიოეთიკა	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	4	4	4	4	4	2
ჰიგიენა	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	4	4	4	4	4	2
კვირეული დატვირთვა	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	38	34	34	34	34	37

სასწავლო კურსები	კვირა/საათი																				
	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40
საექთნო საქმე (პაციენტის მოვლა/მართვა)	8	8	8	8	8	8	8	8	8	8	8	8	8	8	8	8	8	14			
შინაგანი დაავადებები	8	8	8	8	8	8	8	8	8	8	8	8	8	8	8	8	8	14			
ფარმაკოლოგია	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	10
საზოგადოებრივი ჯანდაცვა	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	3		
ნევროლოგია	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	4				
მეან გინეკოლოგია	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	4				
ინფექციური დაავადებები მიკრობიოლოგიითა და ეპიდემიოლოგიით	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	3	3	3	3	3	3	3	3	32	35	19
კვირეული დატვირთვა	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	36	40	40	40	29

სასწავლო კურსები	კვირა/საათი																	
	41	42	43	44	45	46	47	48	49	50	51	52	53	54	55	56	57	58
ინტენსიური თერაპია და რენაიმბიტოლოგია	40	35																
ზოგადი ქირურგია			35	40														
ბავშვთა დაავადებები					35	40												
გერიატრია							40	40	20									
ონკოლოგიური დაავადებები და პალიატიური მზრუნველობა									20	40	40	25						
პაციენტის მოვლა სხვადასხვა დაავადებების დროს და პრევენციული ღონისძიებები												15	40	40	40	40	40	35
კვირეული დატვირთვა	40	35	35	40	35	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	35

სასწავლო კურსები	კვირა/საათი																		
	59	60	61	62	63	64	65	66	67	68	69	70	71	72	73	74	75	76	77
პრაქტიკა-ბავშვის მოვლა/მართვა	20	20	20	20	20	20	20	20	20	20	20	20	20	20	20	20	20	20	15
პრაქტიკა-ორსულის/მშობიარეს მოვლა/მართვა	20	20	20	20	20	20	20	20	20	20	20	20	20	20	20	20	20	20	15

სასწავლო კურსი	კვირა/საათი																		
	78	79	80	81	82	83	84	85	86	87	88	89	90	91	92	93	94	95	96
პრაქტიკა (დასკვნითი)-პაციენტის მოვლა/მართვა(თერაპიული, ქირურგიული, ნევროლოგიური, ონკოლოგიური)	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	30
კვირეული დატვირთვა	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	30

XIV. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრება/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- დამოუკიდებელ მუშაობას;
- სასწავლო, საწარმოო პრაქტიკას;
- გამოცდების (შუალედური, დასკვნითი) მომზადება/ჩაბარებას.

XV. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას;

- (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

- პროგრამის ცალკეულ კომპონენტში შუალედური შეფასება შესაძლოა მოიცავდეს: მინიმუმ ერთ შუალედურ გამოცდის შეფასებას, მიმდინარე შეფასებებს.
- პროგრამის ცალკეულ კომპონენტში დასკვნითი გამოცდა შესაძლოა გულისხმობდეს: გამოცდის ჩაბარებას.
- პროფესიულ სტუდენტს სასწავლო კურსში კრედიტი ენიჭება თუ განსაზღვრული შეფასების კომპონენტების (შუალედური შეფასებები, დასკვნითი გამოცდა და სხვ.) დაჯამებით უტოლდება მინიმუმ 51 ქულას. შეფასების სისტემის კომპონენტები დადებითად ფასდება, თუ პროფესიული სტუდენტი გადალახავს დადგენილ ქულათა ნახევარს ან/და მეტს.
- პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%) მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.
- პრაქტიკა წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტს. პრაქტიკა შესაძლებლობას აძლევს პროფესიულ სტუდენტს განიმტკიცოს თეორიული კომპონენტით შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები). პრაქტიკა არის განაცხადი პროფესიული სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან/და რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს სწავლის დასრულების შემდეგ. პროფესიული კომპეტენციები, რომლის მიღწევაც არის დაგეგმილი პრაქტიკის ფარგლებში, ზოგადად არის

ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური კომბინაცია. პროგრამის ცალკეულ კომპონენტებში გამოყენებული შეფასების ფორმები და მეთოდები დეტალურადაა გაწერილი შესაბამის სილაბუსში.

XVI. სწავლის მეთოდები

წინამდებარე პროგრამის ფაგლებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი სწავლების მეთოდები: ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, გამოკითხვა, დისკუსია, განხილვა, როლური თამაში, სიტუაციური ამოცანა, ასევე შესაბამისი კომპეტენციების განვითარებისათვის ადეკვატური სწავლების სხვა მეთოდები. სწავლების კონკრეტული მეთოდები განსაზღვრებული სწავლის შედეგების სპეციფიკიდან გამომდინარე, გაწერილია შესაბამის სილაბუსში

XVII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ

კურსის დასახელება	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
ლათინური ენა, სამედიცინო ტერმინოლოგია	ოლღა ქავთარია ნანა იაძე	გერმანული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. პროვიზორი
საინფორმაციო ტექნოლოგიები	ლელა დეკანოძე ეკა როჭიკაშვილი	საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორი; ინჟინერსისტემო ტექნიკოსი
ინგლისური ენა	მაია გიორგაძე	გერმანული და ინგლისური ენის მასწავლებელი
ადამიანის ნორმალური ანატომია ფიზიოლოგიითა და პათოლოგიით	ნანა ტალახაძე	ექიმი
პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება	გურამ გიორგაძე ბორის ოსიპიანი ზინა გოგატიშვილი	ექიმი ექიმი ფერმალი
ჰიგიენა	ქეთევან კაშია	ექიმი ჰიგიენისტი, ეპიდემიოლოგი
სამედიცინო ეთიკა და ბიოეთიკა	ციური ცერცვაძე	ფსიქოლოგ-დეფექტოლოგი
საექთნო საქმე(პაციენტისმოვლა/მართვა)	ზინა გოგატიშვილი	ფერმალი
ნევროლოგია	ნინო გოზალიშვილი	ექიმი, სერთიფიცირებული ნევროლოგი

	ბორის ოსიპიანი	ექიმი
ინტენსიური თერაპია და რენიმატოლოგია	გურამ გიორგაძე	ექიმი
მეან-გენეკოლოგია	მედეა ადამია მაკა ადეიშვილი	ექიმი, მეან-გინეკოლოგი ექიმი პედიატრი, მეან გინეკოლოგიის სასწავლო კურსის სწავლების გამოცდილებით
ინფექციური დაავადებები, მიკრობიოლოგია და ეპიდემიოლოგია	ბორის ოსიპიანი გაბრიელ დეისაძე ციცინო ხოშტარია	ექიმი ინფექციონისტი-ექიმი ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებელი
შინაგანი დაავადებები	ნანა ტალახაძე	ექიმი
ფარმაკოლოგია	ნანა იაძე ნათელა გოზალიშვილი	პროვიზორი პროვიზორი
ბავშვთა დაავადებები	ნინო ბახტაძე მაკა ადეიშვილი	ექიმ-პედიატრი ექიმ-პედიატრი
ზოგადი ქირურგია	ნანა ტალახაძე	ექიმი თერაპევტი
საზოგადოებრივი ჯანდაცვა	გურამ გიორგაძე ქეთევან კაშია	ექიმი ჰიგიენისტი, ეპიდემიოლოგი ექიმი
პაციენტის მოვლა სხვადასხვა დაავადებების დროს და პრევენციული ღონისძიებები	ზინა გოგატიშვილი	ფერშალი
გერიატრია	ნანა ტალახაძე მარინა შელია	ექიმი ფერშალ-ლაბორანტი
ონკოლოგიური დაავადებები და პალიატიური მზრუნველობა	ლელა კიწმარიშვილი ზინა გოგატიშვილი	ექიმი, სერთიფიცირებული ონკოლოგი ფერშალი
პრაქტიკა-ბავშვის მოვლა/მართვა	მაკა ადეიშვილი მარეხ ხახიშვილი	ექიმი პედიატრი
პრაქტიკა-ორსულის/მშობიარეს მოვლა/მართვა	მედეა ადამია ნინო ირემაშვილი მაკა ადეიშვილი	ექიმი, მეან გინეკოლოგი ბებია ქალი
პრაქტიკა-პაციენტის მოვლა/მართვა(თერაპიული, ქირურგიული, ნევროლოგიური,	ზინა გოგატიშვილი მარიამ მიქაძე	ფერშალი მედდა

XVIII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ

წინამდებარე პროგრამის განსახორციელებლად გამოყენებული იქნება შპს ორიენტირის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული:

- კეთილმოწყობილი შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი სააუდიტორიო ფონდი, თვალსაჩინო მასალები;
- ინტერნეტში ჩართული კომპიუტერული კლასი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (სილაბუსების) შესაბამისი ლიტერატურით აღჭურვილი ბიბლიოთეკა (წიგნადი, ელექტრონული) სახელმძღვანელოებით, პროფესიული ჟურნალებით, ინტერნეტ-რესურსებითა და სხვა საინფორმაციო მასალებით.
- ზემოთ აღნიშნული სასწავლო პროცესისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოწყობილია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით.
 - შპს ორიენტირს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ა(ა)იპ „საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია“-სთან ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის „OpenBiblio“-ს გამართვაზე (ხელშეკრულება დაიდო 06.02.2012წ.-ში).
 - ყველა პროფესიული სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია:
 - კომპიუტერული კლასი, ინტერნეტი;
 - ბიბლიოთეკა;
 - საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფა იქნება შემდეგი პარტნიორი ორგანიზაციების ბაზებზე:
 1. შპს მოზრდილთა მე-2 პოლიკლინიკა;
 2. შპს წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო.
 3. შპს ი. ციციშვილის სახელობის ბავშვთა ახალი კლინიკა
 4. ააიპ „ევექსის სასწავლო ცენტრი“
 5. შპს მ.შარაშიძის სამედიცინო ცენტრი.
 6. შპს „მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი“

XIX. დასაქმების სფერო _ პრაქტიკოსი ექთნის დასაქმების სფერო მოიცავს სხვადასხვა დონის დიაგნოსტიკურ, სამკურნალო, პროფილაქტიკურ და სარეაბილიტაციო დაწესებულებებს, ჰოსპისებს, ეთიკურ კომიტეტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრულ სფეროებს.

XX. ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ:

გვარი, სახელი - გურამ გიორგაძე

საკონტაქტო ინფორმაცია: 5 99 44 85 24;

ელ-ფოსტა: g.giorgadze@yahoo.com

XXI. სილაბუსები

სარჩევი

I. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:	2
II. პროფესიული განათლების საფეხური:	2
III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	2
IV. პროგრამის მოცულობა:	2
V. პროგრამის ხანგრძლივობა:	2
VI. სწავლების ენა:	2
VII. პროგრამაზე მიღების წინაპირობა:	2
VIII. სფეროს აღწერა	2
IX. პროფესიული პროგრამის მიზანი.....	3
X. სწავლის შედეგი	3
XI.სწავლის შედეგების რუქა.....	12
XII. სასწავლო გეგმა	14
XIII. პროგრამის განხორციელების სპეციფიკა.....	16
XIV. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა).....	17
XV. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება	17
XVI. სწავლის მეთოდები.....	19
XVII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ.....	19
XVIII.ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ	21
XIX. დასაქმების სფერო	21

XX. ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ:.....	22
XXI. სილაბუსები	22